

ქრისტე აღდგა! ეს დღე სიცოცხლის გამარჯვებისა და სულიერი ამაღლების დღეა! გილოცავთ და გისურვებთ მშვიდობას, კეთილდღეობას, ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეს!

**გიორგი სახოკია,**
გურიის სახელმწიფო რწმუნებული



დიდი სიყვარულით გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!
ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!
მაცხოვრის აღდგომა არის უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული, დღე სიკეთის, სიცოცხლისა და სიხარულის. გისურვებთ რწმენაში გაძლიერებას, ქრისტეს მადლი ფარავდეს სრულიად საქართველოს.

**დავით დარჩია**
პატივისცემით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! უფლის წყალობა და მადლი არ მოშლოდეს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ოჯახებს, ჩვენს წმინდა ტაძრებს! მჯერა აღდგომის სასწაულის, სიკეთის ძალის! ღვთის შეწევნით ყველა განსაცდელს დავძლევთ.
ქრისტე აღდგა!

**კონსტანტინე შარაშენიძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 12 (10382) 29 აპრილი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.








მისამართი:
ქ. ოზურგეთი;
ი. ჭავჭავაძის
ქ. №14


## არჩევანი – „მწვანე გურია“ თუ ჰესი სარეკრეაციო ზონაში

### ნუ გავწირავთ ჩვენ ბახმაროს, გურიის მარგალიტს



21-ე საუკუნის დასაწყისში გურიის იმჟამინდელ გუბერნატორ **კარლო გუჯაბიძესთან** პრესკონფერენციაზე მისულ ჟურნალისტებს გუბერნატორის კაბინეტის აღმოსავლეთ კედელზე გაკრული მდინარე ბახვისწყალზე ასაგები ჰესების კასკადის მშენებლობის ესკიზი დაგვხდა. კომუნიკაბელურმა და გამოცდილმა გუბერნატორმა სიამაყით გვითხრა, რომ არსებობდა პროექტი და მალე მდინარე ბახვის წყალზე ელექტროსადგურების კასკადი აიგებოდა. თანაც ისეთი მშენებელი დაასახელა, რომ ეჭვიც არ შეგვეტანია მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე.

ჰესები „საქართველოს რკინიგზას“ უნდა აეგო, რომ-


▶▶▶ გვ-3

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani15@gmail.com**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა


**დაიწყეთ ყოველი დილა ალიონით**

**«ალიონით»**

# ევროპის იმუნიზაციის კვირეული




ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონი 26 აპრილი – 2 მაისს, აღნიშნავს იმუნიზაციის მე –16 ევროპულ კვირეულს (**EIW**). კვირეულის ფარგლებში აღინიშნება რუტინული ვაქცინაციის წვლილი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დასაცავად მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ასევე, აქცენტი გაკეთდება **COVID-**19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საშუალებაზე, რომელიც დაგვეხმარება პანდემიის დასრულებაში.

საქართველო უერთდება ჯანმოს ევროპის რეგიონის ქვეყნებს და კვირეულის ფარგლებში კიდევ ერთხელ შეახსენებს მოსახლეობას თუ რა მნიშვნელობა ენიჭება იმუნიზაციას მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის:

### ვაქცინაცია გვეხმარება

თავიდან ავიცილოთ ისეთი დაავადებები, რომლებმაც შეიძლება ბავშვის გარდაცვალება გამოიწვიოს ან შეუქცევადი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მის მომავალზე

ჯანმრთელი ოჯახების და ჯანმრთელი სიბერის უზრუნველყოფაში

თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა სახეობის კიბო

შევამციროთ ანტიმიკრობული რეზისტენტობის საფრთხე.

### COVID-19 -ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

**COVID**-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია პანდემიის დასრულების ეფექტური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საშუალებაა. არავინ არის დაცული მანამ, სანამ ყველა არ იქნება დაცული.

წითელას შემთხვევები 2020 წელს განსაკუთრებით დაბალი იყო. ამ წარმატების შესანარჩუნებლად აუცილებელია რუტინული ვაქცინაციით მაღალი მოცვა.

**COVID**-19 პანდემიამ დაგვანახა იმუნიზაციის მნიშვნელობა - მოდით სრულად გამოვიყენოთ იმუნიზაციის არსებული პოტენციური სარგებელი.

თუ **COVID**-19-ის პანდემიის გამო, უგულვებელვყოფთ/ დავივიწყებთ რუტინულ იმუნიზაციას, მიღებული შედეგები პანდემიის დასრულდების შემდგომ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეგვიქმნის პრობლემებს.

### ზოგადად ჯანმრთელობის დაცვა / ჯანმრთელობის სრული დაცვა

რუტინული ვაქცინაციის სერვისები უნდა შენარჩუნდეს პანდემიის დროსაც - ყველა ბავშვს აქვს უფლება იყოს ჯანმრთელი!

გახდი გმირი, ჩაიტარე ვაქცინაცია შენთვის, შენი ოჯახისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის.

იმუნიზაცია ევროპის ქვეყნების არჩევანი და ჯანდაცვის ფლაგმანი პროგრამაა.

იმუნიზაცია სიცოცხლის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო არჩევანია.

ისინი, ვინც ვაქცინაციის მიღებისას ბარიერებს აწყდებიან, ხშირად არიან სწორედ ის ადამიანები, რომლებშიც უმეტესწილად ვითარდება დაავადების ყველაზე სერიოზულ გართულები.

### სოციალური მედია

1. ვაქცინაცია გვაახლოებს ჯანმრთელობის უნივერსალურ დაცვასთან;

ვაქცინებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა ადამიანების ჯანმრთელი მომავლისა და ვაქცინით მართვადი დაავადებებისგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

### დაცულები ერთად

2. ვაქცინაცია გვაახლოებს უფრო სამართლიან სამყოსთან

ვაქცინაციამ შეიძლება დაგვაახლოვოს მომავალთან, რომელიც სასურველი და სამართლიანი იქნება ყველასთვის!

### დაცულები ერთად

3ვაქცინაცია გვაახლოებს მეგობრებთან

ახლობელი, ამხანაგი, მეგობარი. მათი არსებობა ცხოვრებას დაუვიწყარ მოგზაურობად აქცევს.

### დაცულები ერთად

4. ვაქცინაცია გვაახლოვებს პანდემიებისგან თავისუფალ სამყაროსთან

ათწლეულების განმავლობაში მეცნიერების მიერ ვაქცინაციის მიმართულებით ჩატარებული კვლევებისა და მიღწევების წყალობით, ჩვენ უკეთ ვართ მომზადებული გავუმკლავდეთ ეპიდემიას.

### დაცულები ერთად

5.ვაქცინაცია გვაახლოებს ოჯახთან

ვაქცინაცია გვეხმარება დავასრულოთ პანდემია, რათა კვლავ შევძლოთ ერთად ყოფნა.

### დაცულები ერთად

6.ვაქცინაცია გვაახლოებს მსოფლიოში პოლიომიელიტის აღმოფხვრასთან

ვაქცინების წყალობით, პოლიომიელიტის შემთხვევები გლობალურად ყოველწლიურად შემცირდა რამდენიმე ასეულამდე. ახლა გვაქვს შანსი, ამ და სხვა მომაკვდინებელი დაავადებების საფრთხე ჩავაბაროთ ისტორიას.

**დაცულები ერთად.**

# საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე 7 საკითხი განიხილა



ოზურგეთის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე 7 საკითხი განიხილეს. სხდომას **დავით დარჩია** უძღვებოდა.

საკრებულომ დაამტკიცა 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და ცნობად მიიღო გასული წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ ინფორმაცია.

დამტკიცდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის შესახებ დადგენილება.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო უძრავი ქონების სერვიტუტით გამოყენებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

საკრებულომ მიიღო განკარგულება ქალაქ ოზურგეთის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ უსახელო სკვერისთვის - **„არსენ კეჭაყმაძის სახელობის სკვერი“-ს** სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ;

მოიწონეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021-2022 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

მსჯელობა გაიმართა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებისა და პროექტების განაწილების შესახებ“ მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტზე. საკრებულომ განკარგულების მიღებას მხარი დაუჭირა, თუმცა გამოითქვა კონკრეტული შენიშვნები, რომელიც პროექტში აისახება.

# ჭყონაგორას მრავალწლიან ხეხილის ბაღში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყონაგორაში მდებარე 18 ჰაზე გაშენებული მრავალწლიანი ხეხილის ბაღები ვაშლის, მსხლის, ფეიხოასა და გარგარის ნარგავებით დაათვალიერა დღეს სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი სახოკიამ. როგორც შპს ,,ჯეონათსი''-ს დირექტორმა რეზო ჩიტიძემ აღნიშნა, წელს დაგეგმილია ბაღისთვის კიდევ ერთი არატრადიციული კულტურის - ავოკადოს შემატება. კომპანია მეურნეობის გაფართოებას 50 ჰა-ზე გეგმავს.

აღსანიშნავია, რომ კომპანია გახლავთ სახელმწიფო პროგრამის ,,დანერგე მომავალი'' -სა და ,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით'' მოსარგებლე, რომლითაც შესაძლებელი გახდა, რომ აღნიშნული ტერიტორია თანამედროვე სარწყავი სისტემითა და უახლესი სანერგე მასალებით ყოფილიყო უზრუნველყოფილი.




**ენერგო-პრო ჯორჯიას ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

# არჩევანი – „მწვანე გურია“ თუ ჰესი სარეაკრიაციო ზონაში

## ნუ გავწირავთ ჩვენ ბახმაროს, გურიის მარგალიტს



ლის თავკაცი გურიის რეგიონის მკვიდრი **აკაკი ჩხაიძე** იყო.. „ვარდების რევოლიციამ“ ეს პროექტი შეაჩერა... აკაკი ჩხაიძე რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდა... შემდეგ ესტონელი ინვესტორი გამოჩნდა, მაგრამ ბოლო მომენტში ესტონელებმა უარი თქვეს ჰესების აგებაზე.. შემდეგ თურქული ინვესტიცია შემოვიდა და კომპანია „ბახვი ჰაიდრო პაუერმა“ გზშ-ს განხილვა „ბახვი 3 ჰესის“ მშენებლობაზე „გამა კოსტალტინგთან“ და კომპანია **„KG Energi**“ წარმომადგენლებთან ერთად გამართა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“.

2009 წელს ენერგეტიკის სამინისტროსა და თურქულ კომპანია - ს შორის მემორანდუმი გაფორმდა. ამ დოკუმენტის საფუძველზე **KGM**-სსა და მის შვილობილ ქართულ კომპანიას„ ბახვი ჰაიდრო პაუერს“ და **„KG Energi**“ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, მდინარე ბახვისწლის ხეობაში კასკადური მცირე და საშუალო ჰესების –„ბახვი 1“, „ბახვი 2“, „ბახვი 3“ და „ბახვი5“-ის მშენებლობის, ოპერირებისა და მფლობელობის უფლება მიენიჭათ.

თავდაპირველი პროექტით „ბახვი 3“ ჰესის სიმძლავრე 6 მეგავატი უნდა ყოფილიყო, თუმცა მისი სიმძლავრე 9,8 მგვტ სიმძლავრემდე გაზრდის იდეა გაჩნდა, რაზედაც კომპანია **KG Energi** (დირექტორი ვახტანგ ღონღაძე) გაზრდილ სიმძლავრესთან დაკავშირებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი ანგარიში წარადგინა გარემოს დაცვის სამინისტროში.

2011 წლის დეკემბერში კომპანია „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერის“ წარმომადგენლები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეებს შეხვდნენ. ჰესების პროექტი კომპანიის გენერალურმა დირექტორმა **შამილ ბირკაძემ** წარმოადგინა. ბირკაძის თქმით, მდინარე ბახვისწყალზე 5 ჰესის აგების შემთხვევაში ჰესების საერთო სიმძლავრე 57 მეგავატი იქნებოდა, რომელიც 110-კილოვატიანი ხაზით გატანილი იქნებოდა ძირითადად საზღვარგარეთ. პარალელურად მდინარე ნატანების ხეობაში აიგებოდა 20-25 მეგავატი სიმძლავრის ჰესები. (გაზეთი „ალიონი“ №1-2, 2012 წ.)

დარბაზში შეკითხვები მას შემდეგ გაჩნდა, როდესაც „ბახვი 1“პროექტზე დაიწყეს საუბარი. აღნიშნული პროექტით 2017 წლამდე უნდა აეგოთ 5 მეგავატი სიმძლავრის „ბახვი 1“ ჰესი. პროექტით, **ბახმაროს ქვემოთ, 1125 მეტრს სიმაღლეზე უნდა აგებულიყო 80 მეტრი სიმაღლის კაშხალი, რომელიც შემდეგ დერივაციული მილით ზღვის დონიდან 500 მეტრზე მდებარე ჰესს მიაწვდიდა წყალს.** პროექტის ავტორების თქმით ეს იქნებოდა ყველაზე მაღალი დაწნევის ჰესი საქართველოში. როგორც გაზეთ „ალიონის“ შეკითხვის შემდეგ გაირკვა, **ხელოვნური ტბის სიგრძე 3 კილომეტრი იქნებოდა,** ხოლო ტბის ზედაპირის ფართობი არ დააკონკრეტეს...

ერთი საინტერესო დეტალი ამ შეხვედრიდან: ოზურგეთელმა **გიგა ხარაბაძემ** დასვა კითხვა: *„ბახმარო უნიკალური კურორტია. ამ კაშხალის აგებით შეიქმნება დიდი ტბა, რამდენად იმოქმედებს ეს ტბა კლიმატზე. რამდენადაა დასაბუთებული ამ მხრივ ეს პროექტი?*

*– „ჩვენ ორი რეჟიმი გვაქვს –ბუნებრივ კასკადზეც და ხელოვნურზე. თუ გარემოსდაცვითი პრობლემები შეთანხმდა, ამ შემთხვევაში გაკეთდება რეზერვუარი. თუ შეიქმნა ეკოლოგიური პრობლემები, – მაშინ მეორე პროექტი განხორციელდება.“*–უპასუხა **ბირკაძემ.**

2013 წლის 10 აპრილს შპს „ბახვიჰაიდროპაუერის“ 9,8 მგვტ სიმძლავრის „ბახვი 3“ ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაიცა 14 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (ბრძანება 2-9).

„ბახვი 3“-ის მშენებლობაზე სოფელ მთისპირში (უკანავა) რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიცია იყო გახარჯული, როდესაც **ჰესის მთავარი შენობის მიმდებარედ მთა ჩამოიშალა და მეწყერმა ჰესის მთავარი სამანქანე დანადგარების შენობა გაანადგურა,** რაც, როგორც შემდეგ ითქვა, პროექტში არ იყო სათანადო გათვლები იმისათვის, რომ მთის ჩამოშლისგან თავის დასაცავად გარკვეული პრევენციული ზომების განხორციელება მომხდარიყო. **მიყენებულმა ზარალმა 2 მილიონ დოლარს გადააჭარბა.** ჰესის პროექტის ავტორი და მშენებელი კომპანია „ჯორჯიან ჰაიდერ პაუერი“ იყო, თუმცა ავარიის შემდეგ მასთან ხელშეკრულება არ შეუწყვეტიათ, მშენებლობა გაგრძელდა და 2013 წლის 5 დეკემბერს „ბახვი 3“ ჰესი საზეიმოდ გაიხსნა.

„ბახვი 1 ჰესის“ თემა შარშან, გაზაფხულზე გაისმა. უფრო მეტიც, 8 აგვისტოს, სასტუმრო „რუმსში“ საქართველოს მდგრადი განვითარების და ეკონომიკის მინისტრმა **ნათია თურნავამ** საივესტიციო ფონდის „ცერბერუს კაპიტალ მენეჯმენტის“ აფილირებულ კომპანია „ცერბერუს ფრონტიენ ჯორჯიასთან“„ბახვი 1 ჰესის“ განვითარების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა“, ხოლო **ჰესის მშენებლობას აპირებს შპს „სი-სი-ი ეიჩ ჰაიდრო VI“, რომელიც ოფიციალურად 2020 წლის 20 იანვარს დარეგისტრირდა (?!).**

29 იანვარს კი ონლაინ რეჟიმში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მდინარე ბახვისწყალზე 12 მგვტ. დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენებზე მომუშავე ჰესის მშენებლობის სკოპინგის ანგარიში განიხილეს, რომელიც შპს „გამა კონსალტინგმა“ წარმოადგინა.

თურქული **KEM**-ის შვილობილი კომპანიის KG Enerji -ის დირექტორმა **ვახტანგ ღონღაძემ** თქვა, რომ „ჩვენ ვაშენებთ ჰესებს, რომელიც მოგვცემს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, რადგან იმპორტზე დამოკიდებულება არის პრობლემა“...ხოლო „გამა კოსტალტინგის“ წარმომადგენლის **ჯულული ახვლედიანის** თქმით 16 მილიონიანი პროექტი, ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას. 12 მგვტ.–იანი ჰესი 50 მილონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც ქვეყნის წლიური იმპორტის 3 %-ის ექვივალენტი იქნება.



გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარის **ირმა გორდელაძის** თქმით, ბახმაროს სარეაკრიაციო ზონაში „ბახვი 1 ჰესი“ არ უნდა აშენდეს.

*–მთელი გურია დადგება ფეხზე და ამ პროექტის განხორციელებას არ დაუშვებს* –განაცხადა ირმა გორდელაძემ.

სამინისტრომ გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით შეაჩერა აღნიშნული პროექტის ადმინისტრაციული წარმოება.

21 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა შპს **„სი-სი - ი -ეიჩ ჰაიდრო VI“** განცხადება დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე.

გაზეთმა „ალიონმა“ კომენტარისთვის აღნიშნულ თემაზე გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე **ირმა გორდელაძეს** მიმართა:

*–მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობის საკითხი განახლდა.*

*კომპანიამ დაგვიანებით, 16 აპრილს წარადგინა სამინისტროში ის დოკუმენტაცია, რაც იყო განხილვის პირველ ეტაპზე, შეტანილია მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები: პროექტი კვლავ ითვალისწინებს ბახმაროს სარეკრეაციულ ტერიტორიის ფარგლებში, ზღვის დონიდან 1750 მეტრ სიმაღლეზე წყალშეგუბების მოწყობას მდინარე ბახვისწყალსა და ბაისურასწყლის შესართავთან.*

*ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წერილითი რეკომენდაციით მიმართა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს ირაკლი კუჭავას, რომ „ბახვი 1“ ჰესი არ შენდება სარეკრაციო ზონაში და მშენებლობის თანხმობას მოაწეროს ხელი.*

*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი თანხმობას ვერ გააგზავნის, რადგან ჰესი რეკრეაციულ ზონაშია და თან მოსახლეობაა წინააღმდეგი ამ ჰესის აშენების, რადგან საფრთხე უნიკალურ კურორტს ემუქრება.*

*ჩვენ, ჩვენს არგუმენტირებულ შენიშვნებს კვლავ წარვადგენთ 25 მაისამდე სამინისტროში* –გვითხრა **ირმა გორდელაძემ.**

**„ნუ გავწირავთ ჩვენს ბახმაროს, გურიის მარგალიტს“**–ეს სიტყვები „შალომ კლუბ გურიას“ დამფუძნებელს **ზაურ ოსეფაიშვილს** ეკუთვნის.

**ნუგზარ ასათიანი**

# ინფრასტუქტურული პროექტები გრძელდება

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით დაიწყო ოზურგეთში, ბესიკის ქუჩის 1-ლი შესახვევის მოასფალტება.

სამუშაო პროცესს, ოზურგეთის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე,** მოადგილეებთან ოსიკო თოთიბაძესთან და ირაკლი სირაძესთან ერთად გაეცნო.

პროექტის ფარგლებში, 705 მეტრი სიგრძის ასფალტის საფარის გზასთან ერთად მოეწყობა ბეტონის სანიაღვრე არხები და მილხიდები.

გზის რეაბილიტაციას შ.პ.ს „ფემ-ინი კონსტრაქშენ გრუპი“ ახორციელებს.




„აღნიშნული ქუჩა, სადაც ასფალტის საფარს ვაგებთ, *იყო ამორტიზებული ტერიტორია. სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადგილობრივები, კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებენ,*“– აღნიშნა **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

პროექტის ღირებულება 267 223 ლარს შეადგენს და საგზაო მონაკვეთების მოასფალტება უახლოეს დღეებში დასრულდება

# „აღვადგინოთ ჩვენი დედამიწა“

„აღვადგინოთ ჩვენი დედამიწა - **Restore Our Earth”**-ასეთია წელს, დედამიწის დღის მოწოდება მსოფლიოს საზოგადოებისადმი!

მილიარდზე მეტი ადამიანი 192 ქვეყნიდან მონაწილეობას იღებს დედამიწის დღის აქტივობებში ყოველწლიურად, რაც მას აქცევს ყველაზე დიდ სამოქალაქო მოვლენად მთელ მსოფლიოში.

მიმდინარე წლის აქტივობა მიმართულია თანამედროვე მწვანე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობაზე....

დღეს, ყველას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა დედამიწის დღის აღნიშვნაში და შეიტანოს საკუთარი წვლილი კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში მთელი მსოფლიოს



მასშტაბით.

შეიტანე შენი წვლილი დედამიწის დღის მსოფლო კამპანიაში და გახდი მწვანე აქტივისტი!

გვახსოვდეს!

# ცნობილ ფიზიკური კულტურის პედაგოგთა ხსოვნის ტურნირი



23 აპრილს, სოფელ ნატანებში გაიმართა №1 და №2 საჯარო სკოლების ყოფილი ფიზიკური კულტურის პედაგოგების რეზო (გური) ბოლქვაძის, რევაზ ნინიძის, ვახტანგ და დავით მამარდაშვილების ხსოვნის შიდასასკოლო ტურნირი ფეხბურთში.

პირველ მატჩში ერთმანეთს 2011-2014 წლებში დაბადებული ბავშვები შეხვდნენ (მწვრთნელი - გია ტუღუში). მეგობრული, დაძაბული ბრძოლა ფრედ 2:2 დამთავრდა. გოლები გაიტანეს: ომარ გორგილაძემ, ანდრია პატარავამ, ვანო ცქვიტინიძემ და მათე ქასრაშვილმა.

მეორე მატჩში კი ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ზემო ნატანების „სალვთო" (მწვრთნელი – გია ტუღუში) და ქვემო ნატანების „ნარინჯი" (მწვრთნელი – თემურ ღლონტი). ამ პაექრობაში „სალვთოს ფეხბურთელებმა 7:2 გაიმარჯვეს. გოლები გამარჯვებული გუნდიდან გაიტანეს: გიგა ნათიძემ – 5, გუჯა ნათიძემ და გიორგი ხომერიკმა – თითო. დამარცხებული გუნდიდან კი ორივე გოლი თამაზ ბაქანიძის ანგარიშზეა.

გაიმართა ტურნირში მონაწილე ფეხბურთელების დაჯილდოება. სამახსოვრო დიპლომები და თასები მათ გადასცეს ზემო ნატანებისა და ნატანების საჯარო სკოლების დირექტორებმა ლაშა ბოლქვაძემ და ლავრენტი კოსტავამ. ტურნირის ორგანიზატორი გია ტუღუში დიდ მადლობას უხდის სოფელ ნატანების ხელმძღვანელობას, მშობლებს, სპორტულ გამაჯანსაღებელი გაერთიანების სასპორტო სკოლის დირექტორს გელა შაფაქიძეს ტურნირის ორგანიზებაში თანადგომისთვის.







ახლა კი გაგაცნობთ ტურნირში მონაწილე ფეხბურთელებს: გიგა, გუჯა და გეგა ნათიძეები, ომარ გორგილაძე, ზურა მიქატაძე, ანდრია პატარავა, ვანო ცქვიტინიძე, საბა გორჯელაძე, გიორგი და მათე ქასრაშვილები, თორნიკე ბაქანიძე, ლუკა მიქაძე, გიორგი ხომერიკი, ლუკა მახარაძე, გიორგი ბოლქვაძე, ლუკა მიმინოშვილი, ლაშა გოგოტიშვილი, გეგი ჩხაიძე, თამაზ ბაქანიძე და ბადრი სირაძე.

ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ასეთ ორგანიზებულ ტურნირში მონაწილეობა არ მიიღეს „სალვთოს" ფეხბურთელებმა: ლუკა ხურციძემ, ირაკლი კავაზაშვილმა, უჩა ხომერიკმა და გიორგი პატარავამ.

აღსანიშნავია, რომ გეგა ნათიძე და მათე ქასრაშვილი მხოლოდ 6 წლის არიან.

# ალიონი 90

# 1937 წელი




## სათბური

ქალაქის საბჭოს ინიციატივით უახლოეს დღეებში მოეყობა სათბური ორანჟერია, რომლითაც გამრავლებლი იქნება დეკორატიული სხვა და სხვა მცენარეები და ციტრუსი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის ბაღების კეთილმოწყობას დეკორატიული მცენარეებით და ქალაქის მოსახლეობას ციტრუსის ნერგებით.

ი.ა.

№10, 30 იანვარი, 1937 წ.

## სპირტის ქარხანაში

მახარაძის ადგილობრივი მრეწველობის სპირტის ქარხანაში იხდებოდა: ჭაჭა, ვაშლი და სხვა ხილეულობა პრიმიტიული წესით, პატარა ქვაბებში „ფარსუნკით", რაც ხშირად ხანძრის საშიშროებას იწვევდა. ნედლეულის გადამუშავება ხდებოდა ხანგრძლივი და ზედმეტი ღირებულებით. დღე და ღამეში იხდებოდა 18 ვედრო, ე.ი. 270 გრადუსი. მუშას ხელფასი ეძლეოდა ერთ გრადუსზე 15 კაპიკი, რომელიც შეადგენდა 40 მანეთს.

მეღვინეობის სპეციალისტი დათიკო ღლონტის წინადადებით და ქარხნის ხელმძღვანელი ამხანაგების დახმარებით ეს სამუშაოები გადაყვანილი იქნა ახალ წესზე, ორთქლის საშუალებით გამოხდაზე, რომელიც არ არის საშიში ხანძრის მხრივ და პროდუქციას გვაძლევს უმაღლესი ხარისხისას და ხუთჯერ მეტის რაოდენობით. ხუთი დღელამის სამუშაო სრულდება ერთ დღელამეში. ერთ დღელამეში იხდება 100 ვედრო, ე.ი. 1500 გრადუსი, ხელფასი მუშას ეძლევა 75 მანეთი. განსხვავება დღე ღამეში არის 150 მანეთი

№14, 10 თებერვალი, 1937 წ.

## ახალი ამბები

**–ახალი რადიოსადგური.** ქ. მახარაძეში უკვე დამთავრდა ახალი, 500-ვატიანი რადიო სადგურის მშენებლობა, რომელიც მომსახურებას გაუწევს რაიონის მოსახლეობას.

**–სამგზავრო ავტომანქანა.** ბახვის კოლმეურნეობამ შეიძინა 13 ადგილიანი სამგზავრო ავტომანქანა, რომელიც ივლის ბახვსა და მახარაძეს შორის.

**–სასოფლო ელექტრო სადგური.** ბახვში მდინარე ნატანებსა და ღურღანაზე, 1936 წლის მაისის თვიდან დაიწყო ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც დამთავრდება ამ რამდენიმე თვეში და მომსახურებას გაუწევს მშვიდობაურის, ოქროს ქედის, ქვედა ბახვის, შუაბახვის, ფამფალეთის, ვაკიჯვრის, ბაღდადის და ასკანის კოლმეურნეობას.

**–ფიზკულტურის დარბაზი.** ქ. მახარაძეში უკვე დამთავრდა ფიზკულტურის დარბაზის მშენებლობა, რომელიც მომსახურებას გაუწევს რაიონში ფიზკულტურული წრეების მუშაობას.

## როდის გაიღვიძებს ფოსტა

არტელ „გურკოოპტყის" მუშა-მოსამსახურეებში გავრცელებულია 185 ცალი სხვადასახვა სახის ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ ჟურნალ გაზეთების ხელის მომწერებზე მიწოდება სრულიად მოუგვარებელია.

აი, მაგალითად, 23 იანვრიდან 11 თებერვლამდე დამტარებელს სრულიად არ გაუვლია არტელის ახლოს, არტელის ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე მოითხოვა რაიფოსტისაგან სათანადო დამტარებლის მიმაგრება, მაგრამ ჟურნალ გაზეთებისა და სხვა გზავნილების მიწოდება ისევ დაუშვებელ მდგომარეობაშია.

იფიქრებს თუ არა მიძინებული რაიფოსტა სათანადო დამტარებლის გამოგზავნას.

შ. ი-ლი

№15,14 თებერვალი, 1937 წ.

## 240 ცხენის ძალიანი ელექტროსადგური

1936წლის მაისის თვიდან დაიწყო მუშაობა ბახვში მდ. ნატანებსა და ღურღანაზე ელექროსადგურის ასაგებად.ამ მიზნით სახელმწიფოსაგან მიღებული 90 ათასი მანეთი დაბანდებულ იქნა იქნა ხსენებულ სამუშაოზე.

მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო გ.წ. 7 ნოემბრისათვის, რაც ვერ განხორციელდა მუშა ხელის უყოლობის გამო.

ამჟამად მშენებლობა დამთავრებულია 70 პროცენტით, აგებულია ბასეინი, მიზიდულია ადგილზე გენერატორები და საწარმოებს მათი მოწყობა. სოფელ ოქროსქედის და მშვიდობაურის კოლმეურნეთა ბინებზე უკვე გაყვანილია ელექტრო ხაზები.

ელექტრო სადგური 240 ცხენის ძალიანი იქნება და პირველ რიგში გაანათებს: მშვიდობაურის, ოქროს ქედის, ქვედა ბახვის და შუა ბახვის კოლმეურნეებს, შემდეგ კი ფამფალეთის, ვაკიჯვრის, ბაღდადისა და ასკანის კოლმეურნეებს.

ვ.ჯ.

№24, 18 მარტი, 1937 წ.

## ლელო შემოქმედელებმა გაიტანეს

7 მარტს მახარაძის რაიონში მოეწყო ლელო, შეჯიბრებაში მონაწილე კოლმეურნეობები –გურიანთა-შემოქმედი ორგანიზებულად მოვიდნენ.

სპეციალურად მორთულ მინდორზე სულ ერთიოდე საათის განმავლობაში მრავალმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

შეჯიბრში მონაწილე თითოეული კოლმეურნეობიდან გამოვიდა 100-100 კაცი. ლელოს გატანისათვის „ბრძოლა" სამ საათს გაგრძელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებაში დაწყებისთანავე ბრძოლამ ცხოველი ხასიათი მიიღო. შემოქმედელი კოლმეურნეები დიდი ოსტატობით ახდენდნენ სხვადასხვა სახის მენევრებს იმისათვის, რომ დაებნიათ მოწინააღმდეგეები, მოპირდაპირეთა ყურადღება მიეპყრათ ისეთ უბნებზე, სადაც ბურთი არ იყო და გაერღვიათ ფრონტი.

შემოქმედელს თამაშის კარგი ტაქტიკა ჰქონდათ, ისინი ასვენებდნენ 20 კაცს, რომელთაც შემდეგ იყენებდნენ იერიშების დროს.

გურიანთელებმა პირდაპირი იერიშით ძალები დალალეს და გადამწყვეტ შეტევის დროს ვეღარ დაძლიეს „მტრის" თავდასხმა.

ამის შემდეგ შემოქმედმა მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება. ლელო სწორეთ მათ გაიტანეს.

უნდა აღინიშნოს, რომ თამაში წელს უაღრესად ორგანიზებულად ჩატარდა. ასეთი საინტერესო და წესიერი თამაში რაიონში ჯერ არ ჩატარებულა.

№25, 21 მარტი, 1937 წ.

## საექიმო მომსახურება

ამ უკანასკნელ დროს ჯუმათის საექიმო პუნქტის მუშაობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, პუნქტს აქვს საკუთარი ბინა, მოსაცდელი და გასასინჯი ოთახებით.

შეძენილია ცხენი, რითაც საშუალება აქვს საექიმო პუნქტს კოლმეურნეებს ოჯახშივე აღმოუჩინოს დახმარება.

ყველა საკოლმეურნეო ბრიგადაში ჩამოყალიბებულია ჯანდაცვის უჯრედები და ჩატარებულია საუბრები მალარიასთან ბრძოლის, გადამდები სნეულებათაგან თავის დაცვის და სხვათა შესახებ.

ამას წინათ ჩატარდა „დასუფთავების ერთთვიური"(ოჯახების სანიტდათვალიერებადა საექიმო რჩევა-დარიგებების მიცემა), რამაც კოლმეურნეებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

ყველაფერი ეს პუნქტის გამგის ექიმ **ი. თავართქილაძის** ენერგიულ მუშაობას უნდა მიეწეროს. სოფლსაბჭომ პუნქტის მუშაობს შეაფასა „კარგზე" და ექიმ თავართქილაძეს გამოუცხადა მადლობა.

ი. გოგუა

№33, 22 აპრილი, 1937 წ.

ექსკლუზივი

# ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ გაზ. „ალიონი" №№ 34-36 2020 წ. №№ 1-11, 2021 წ



იური ქორიძე ყოფილი მოჭიდავე იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მძიმე წონაში, კომკავშირის მდივანი თავის სოფელში, სადაც პროკურორი გახლდათ მიმაგრებული. აქ ნახა სიტყვით გამოსვლისას იური, მოუწონა სიტყვა-პასუხი იურიდიული ფალულტეტის დაუსწრებელი სწავლების ბოლო კურსის სტუდენტს. დაპირდა, როცა დაამთავრებ უნივერსიტეტს ჩემთან დაგაწყებიებ მუშაობასო. შეუსრულა დანაპირები და ახლა, როგორც შვილს, ისე უვლიდა და ზრდიდა. ისიც თვალებში შესციცინებდა, მის ყველა დარიგებას ითვალისწინებდა, პროფესიონალიზმს ხვეწდა და იურიდიულ საქმიანობაში დიდი ნახტომისთვის ემზადებოდა.

— მამია ენვერიჩ, თუ ბოლომდე დალევის ნებას მომცემ, სტუმრებს დავავიწყებ, რომელ ქალაქში არიან.

— მისმინე, იური. ჩვენ ახლა ერთ სუფრასთან დავსხდებით და ისე უნდა ჰქნა, მოპირდაპირე კუპეს თვალი არ მოაშორო. კითხვები არ გინდა, დანარჩენი სამსახურში. — მოკლედ მოუჭრა მამუკამ.

თითქოს მიხვდა და ვერც მიხვდა გამომძიებელი ნათქვამს. უხმოდ გაჰყვა პროკურორს. რესტორან „გურიას" დარბაზში შევიდნენ. პროკურორის დანახვაზე მიმტანი გოგონები ფეხზე წამოდგნენ, ადმინისტრატორიც იქვე გაჩნდა.

— აქეთ მობრძანდით, მამია ენვერიჩ და ერთ-ერთი კუპის მოპირდაპირე მაგიდასთან მიუძღვა სტუმრებს.

ზუსტად ისე დასხდნენ, როგორც პროკურორმა უთხრა იურის გზაში.

— არსად გვეჩქარება და, თუ შეიძლება, თანდათანობით მოიტანეთ კერძები.

— კი, ბატონო, როგორც თქვენ ბრძანებთ, — უთხრა ადმინისტრატორმა და იქვე ოფიციანტს რაღაც გადაულაპარაკა.

მჭადის, ყველის, ხაჭაპურისა და ბოსტნეულის მომტანმა ულამაზესმა რუსის ქალმა ღიმილით უთხრა პროკურორს:

— დღეს კარგი დღე გვაქვს. მილიციის უფროსი იყო ახლა აქ, კუპეში უნდოდა დაჯდომა, მაგრამ დაკავებული დახვდა, მაინც შეიხედა და თავისი ნაცნობები აღმოჩდნენ შიგ. უთხრა, ფორმას გავიხდი და შემოგიერთდებითო. აგერ, თქვენც სადილობთ. ასე რომ, დღეს ჩხუბი არ იქნება.

— მაგარია თამაზი. — გულიანად გაიცინა მამუკამ.

— რა ენვერიჩ?

— მაგარია თამაზი.

— თამაზი რომ მაგარია, ვიცი, მაგრამ ახლა, ამ წუთში ეს რა შუაშია?

— მოგვიანებით გაიგებ. ისეთი დროა, სტუმრების მახარაძეში შემოსვლა შენც უნდა გაიგო და ისიც, ვინ ხვდება ამ სტუმრებს. — უპასუხა და ხაჭაპური გადაიღო.

ახალბედა იყო იური და მთლად ვერ გაერკვა, რას ეუბნებოდა პროკურორი, აღარ ჩაძიებია, როგორც უფროსმა დაავალა, თან სადილობდა და თან თვალს არ აშორებდა მითითებულ კუპეს. სულ მალე კუპეს ჩქარი ნაბიჯებით მიუახლოვდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული მილიციის უფროსი, დაუკაკუნებლად შევიდა შიგ ისე, რომ დარბაზში მსხდომებისთვის არ მიუქცევია ყურადღება.

კუპეში ქეიფი გრძელდებოდა. სულ ხუთნი იყვნენ. სამი ადგილობრივი და ერთი ბათუმელი კანონიერი ქურდი. უცნაური იყო, რომ მილიციის უფროსი, შავი სამყაროს წარმოამდგენელთან ერთად, რესტორან „გურიაში" ილხენდა. ბოლოს ადგა და ადგილობრივებს მიმართა:

— ასეთი სტუმრები რომ ჩამოდიან ქალაქში, მე ეს აუცილებლად უნდა ვიცოდე. გადავიცმევ სამოქალაქოს და, როგორც რიგითი მასპინძელი, ისე დავხვდები. თუ ჩამოსვლა მე არ მეცოდინება, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც სხვა საქმეა ჩაფიქრებული. მე აქ ვიცავ წესრიგს და შავი საქმეების გარჩევის საშუალებას არავის მივცემ. ეს ეხება სტუმარსაც და მასპინძელსაც. ამისთვის სხვა ქალაქი აირჩიეთ. ეს ქალაქი ამისთვის დახურულია. ახლა სტუმარი გავაცილოთ და მასპინძლებმა მიხედეთ თქვენს საქმეს.

იმდენად მტკიცედ იყო ნათქვამი, რომ ყველა ფეხზე წამოდგა. ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს, დაცალეს და გარეთ გამოვიდნენ. კარებთან არმისული, ერთ-ერთი ფულის გადასახდელად წავიდა. ფული გადახდილია, მილიციის უფროსმა გადაიხადა, უთხრეს მას. თითქოს ყველა გამოფხიზლდა, მილიციის უფროსმა მათ „ყვითელი ბარათი" აჩვენა. კანონიერი ქურდი მანქანაში ჩაჯდა, დამშვიდობებისას თამაზმა კიდევ ერთხელ უთხრა — მხოლოდ საქეიფოდ და წინასწარ შემატყობინეთ. ხელი ჩამოართვა და პროკურატურისკენ გასწია

ექვსი საათი სრულდებოდა. პროკურორი მარტო იყო ოთახში.

— მამუკა, რა გაქვს ამდენი საწერი?

— გააცილე სტუმრები?

— გავაცილე. დაგირეკეს ხომ? — გაიცინა თამაზმა.

— მე უფრო ადგილობრივები მაინტერესებდა.

— ხომ იცი, ვინცაა?

— რა თქმა უნდა. მთავარია, წესრიგი იყოს ქალაქში და თუ იმ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ...

— მამუკა, სოსოს ამბავი ხომ იცი? მაგარია. კიდევ უფრო მაგარი იქნებოდა, წიგნი რომ უყვარდეს. თვითნაბადი ოპერია. საიდან აღმოაჩინა? ერთი სული მაქვს, საქმეს როგორ წაიყვანს. წუთებშია უკვე საქმე, შეიძლება დასწრებაზეც კი და, წარმოიდგინე, სულ არ მეშინია.

— აბა, საქმე გამოძიებულია. ნივთმტკიცებიანად ყველაფერი გვაქვს. კაცი ხომ არ მივავლინოთ როსტოვში, ან იქნებ შევატყობინოთ სამმართველოს.

— სამი-ოთხი დღე მოვიცადოთ.

— მოვიცადოთ!

— გაგიხარდა, რაც გითხარი?

— ძალიან.

—პურმარილი?

— მოდი, „იზაბელას" სხვა ჯობს და გეტყვი რა: მანუჩარს დავურეკავ, რენოს, ვალოდიას და ორ-სამ შინაურს კიდევ. მანუჩარს პურმარილი და ბიჭობა არ ეშლება და შაბათს სათევზაოდ წავიდეთ. მოგწონს აზრი? სხვათა შორის, მანუჩარის ბიჭი ემი ბიჭის მეგობარია, მაგათაც წამოვიყვან.

— მაგარია. ბიჭებსაც გაუხარდებათ და რომ გაიზრდებიან, კარგად მოიგონებენ.

— შევთანხმდით...

19.04

მთელი ღამე თეთრად გაათენა სოსომ. აშლილ ფიქრებს ვერ ალაგებდა. რისთვისაც ამხელა გზაზე გამოუშვეს, აგერ, ერთი ხელის გაწვდენაზე ჰყავდა და ვერაფერი ქნა. თავს იმით ინუგეშებდა, რომ მარტიკიანი მას აუცილებლად ნახავდა, მაგრამ რომ გეკითხა, რატომ ხარ ასე თვითდაჯერებულიო, ვერ გიპასუხებდა. ასე ფიქრებში ჩაეძინა გამთენიისას. სამსახურში დაგვიანებით მივიდა. არავის უკითხავს, რატომ დაიგვიანეო. მოწყენილს მხოლოდ უფროსი შეეკითხა, მეუღლე როგორააო? ეს იყო და ეს. სამუშაოც არ იყო, ვაგონებს ელოდებოდნენ, საღამოს ფქვილი უნდა დაეცალათ. იქვე ახლომდენარე მაღაზიაში შევიდა, კეფირი და ფუნთუშა იყიდა, ესიამოვნა. იქვე ჩამოჯდა განმარტოებით და მადიანად შეექცა. არც არავინ აქცევდა ყურადღებას, ისევე, როგორც თვითონ სხვებს, თავისთვის ფიქრობდა.

— ქართველო, რა მადიანად მიირთმევ, ასე გემრიელია? — ჰკითხა ვიღაცამ ქართულად და მხარზე ხელი დაადო.

ორი თვეა, აქ არის და ორი სიტყვა არ გაუგია ქართული. ეუცნაურა. ან საიდან მიხვდა, რომ ქართველია, წამით გაუნათდა გონება, მიბრუნდა ისე, რომ ფეხზე არ წამომდგარა, შეხედა მოსულს და ფუნთუშა და კეფირი კინაღამ გაუვარდა ხელიდან, მის წინ ოვანეს მარტიკიანი იდგა. იფიქრა, ფეხზე წამოვდგები და აქვე ავიყვანო, მაგრამ სხვანაირად მოიქცა.

— დაგჭირდი რამეში, მეგობარო?

— ისე გამოგიარე.

— შემამოწმე? - გაიღიმა და ჭამა განაგრძო. დარწმუნებული იყო, მარტიკიანი მას ვერ ცნობდა.

— არა, გზად ვიყავი და შემოვიარე, ვიფიქრე, შენი მეუღლის ამბავსაც გავიგებ-მეთქი.

მიხვდა სოსო, მარტიკიანს რაღაცის თქმა სურდა და ამოწმებდა. უფრო დაძაბა გონება და გარეგნულად სულ არიფს დაემსგავსა.

— მეუღლეს გაუხარდა, ფული რომ მიუტანე?

— ამდენი ფული რომ მეჩვენებია, ინერვიულებდა, საიდან, ხომ არ მოიპარეო? ამიტომ ვუთხარი, ხელფასზე მეგობრებმა ცოტა შემიგროვეს და სამკურნალო ფულად გამოგიგზავნესთქო. ძალიან გაუხარდა. იტირა. დანარჩენი შევინახე.

— რომ მოგპარონ, არ გეშინია?

— იმ სახლში რომ კაცი შევა, ისეთი სანახავია, იქედან არაფერს წამოიღებს, რაც აქვს, იმასაც იქ დატოვებს. ერთი პატარა ოთახია ორი საწოლით, ორი სკამით, მაგიდითა და ფეჩით. რა უნდა წაიღონ იქიდან, თუ არ ეცოდინება ვინმეს, რომ იქ სამი ათასი მანეთია კიდევ?!

— კარგი, კარგი. სოსო გქვია, ხომ?

— კი, სოსო მქვია.

— საიდან ხარ, სოსო?

— წარმოშობით მეგრელი ვარ, მამას ბევრი და-ძმა ჰყავდა და იმერეთში წამოვიდა, იქ დასახლდა, ჩაესიძა.

— შვილი რამდენი გყავს?

— ხუმრობ? მეუღლე ათი წელია ვერ დადის, არ ვიცი, რა სჭირს. — თავი ჩაქინდრა.

— კარგი, არ ვიცოდი. ვის იცნობ ამ ქალაქში?

— მილიციიდან ხარ?

— არა, საიდან მოიტანე? ან რა იცი, მილიცია რას აკეთებს?

— ბავშვობაში მაღაზიიდან საკვები მოვიპარე, იქედან მახსოვს „ძაღლები" და არც თუ კარგად.

— გცემეს?

— კი, ცოტა მაგათმა იქ, ბევრი მამაჩემმა სახლში. რა მექნა? მშიოდა. მერე ვთქვი, აღარ მოვიპარავ-მეთქი და არც მომიპარავს. ვმუშაობ ვირივით და პურის ფულს ვშოულობ. აგერ გუშინ თქვენ გამოჩნდით და ხელი გამიმართეთ. სამდურავი არაფერი მაქვს. — კეფირიანი ბოთლი პირზე მოიყუდა და დაცალა.

— იგორს საიდან იცნობ?

— აქ მუშაობს. გუშინ მითხრა, რისთვისაც ვმუშაობდი, ყველაფერი გავიგეო. აბა, რა ვიცი, რისთვის მუშაობდა?! ისე, კარგი ბიჭია. მაგრად გამიმართა ხელი.

— კარგი. ამ დღეებში გნახავ. ხომ აქ იქნები?

— ჯერჯერობით კი, თუ სხვა უკეთესი რამე არ ვნახე, მაგრამ არა მგობია, ვნახო.

— ფული ხომ არ გჭირდება?

— არა, იმდენი მაქვს, იმას რა დახარჯავს.

კარგად იყავი, წავედი.

— ისე, რა გქვია?

— თენგიზი, მეტსახელად „სერი".

— კარგად იყავი.

ხელი ისე ჩამოართვა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ისე ელაპარაკა მარტიკიანს, რომ ფეხზეც არ ამდგარა, უბრალოდ, ნაღდი მუშის პოზიციიდან. არც მარტკიანს შეპარვია ეჭვი სოსოს არიფობაში. სოსომ ცალი თვალი გააპარა მიმავალისკენ. „სერი" თეთრ „ვოლგაში," ჩაჯდა, საჭესთან გუშინდელი მეორე ფრაკოსანი იჯდა.

ძვირფასეულობის შემოტანის ამბავი ქალაქში მყისიერად გასკდა. როსტოვის მთელი სამმართველო ფეხზე დადგა. ამბავი, ცხადია, „პოლტავსკის" ბანდიდან შემოვიდა, ისევე, როგორც სამმართველოდან შედიოდა ამბები „პოლტავსკის" ბანაკში. საქმეზე წრიალი მაშინ დაიწყეს, როცა „ბლანდინი" ლენინგრადში მატარებლით წავიდა ძვირფასეულობის ნაწილის სარეალიზაციოდ.

ქურდების ბანაკში არეულობის შეტანის მიზნით, როსტოველმა სამართალდამცავებმა მეტად ორიგინალური ხერხი მოიგონეს, რომელიც, ცხადია, მათ ზემდგომებს შეათანხმეს. ხმა გაუშვეს, რომ ნაძარცვის ღირებულება ოთხ მილიონზე მეტი იყოო, ანუ სამჯერ მეტი რეალურთან შედარებით. ეს გამოიწვევდა შიდა დაპირისპირებას ბოროტმოქმედებში წილის გაყოფისას, დააჩქარებთა უშუალო მონაწილეთა ვინაობის გამოვლენას და ა. შ. ამ გონივრულმა „პარაშამ" მაგრად იმუშავა.

„პოლტავსკიმ" პეტკა დაიბარა და „სერის" ამბავი ჰკითხა.

— სად არის?

— სახლშია, ბოს, საღამოს რესტორანში მივდივართ.

— ცუდადაა საქმე. ქურდები მოვიდნენ. იქ ერთი მილიონის კი არა, ოთხი მილიონის საქონელი ყოფილა და საქონელი სადღაც მოტყდაო. იმან რაც ჩამოიტანა, მათ თვალწინ დადო, რაც აიღო, ისიც თქვა. მაგაში „ვერნი" ძმაა. დარწმუნებული ვარ, არ მოტეხავდა, მაგრამ რა გამოდის, მაშინ მე მომიტეხავს, მივიღეთ და მერე გაქრა? თუ „სერის" პასუხი არ მოვთხოვეთ, ჩემსკენ წამოვლენ. რა ვუთხრა? ვერას გამო ჩემი ანგარიში მაქვს მაგასთან, უნდა მოიყვანო, ქურდების წინაშე პასუხს აგებს. თუ იყნოსა და დატყდა, იცი, რაც უნდა ქნა, მაგრამ უნდა ჩავხედო თვალებში სიკვდილის წინ. ზეგ „სხადნიაკი" იქნება და მოიყვანე ექვს საათზე, ოღონდ ფრთხილად, იცოდე, გველის ჭკუა აქვს და იშვიათი ინტუიცია.

დაფიქრებული გამოვიდა პეტკა „პოლტავსკისგან". ატყობდა, რომ „პოლტავსკი" დიდ შარში იყო გახვეული. ძვირფასეულობა ვერას გაატანა, წერილი მან მისწერა „სერის" გოგონების და ნივთების პატრონობაზე, შესაბამისად „ატვეჩაიც" თვითონ გახდა. ვერა მოკლეს და „სერიმ" ის ძვირფასეულობა ჩამოიტანა, მაგრამ არა ოთხი მილიონი მანეთის, არამედ ოთხჯერ ნაკლების ღირებულებისა. „სერი" რომც დაბრიდონ, პასუხს „პოლტავსკი" აგებს „ატვეჩის" გამო. ამხელა ფულს ის ვერ მოიტანს, უამრავი მტერი ჰყავს, გააფუჭებენ. იქნებ „სერის" აკიდოს ეს საქმე, მაგრამ „სერის" მან არ გაუგზავნა ეს ყველაფერი? მანქანაში დაჯდა, სავარძელს მიაყრდნო თავი და ფიქრებს მიეცა... ზეგ, ერქვს საათზე რისთვის გიბარებს-მეთქი, რა ვუთხრა?

—რა იყო, პეტკა? ვიწექი.

— არაფერი. არაყი გაქვს?

გაუკვირდა „სერის" პეტკასგან არყის მოთხოვნა. ამ ხნის ურთიერთობის მანძილზე ეს პირველი შემთხვევა იყო. გამოალო მაცივარი.

— დიდ ჭიქაში დამისხი.

— რაშია საქმე, პეტკა?

— პირველი სიყვარული შემხვდა ქმართან ერთად, დამცინავად გადმომხედა. გამიტყდა, „სერი", მაგრად გამიტყდა. დაავლო ჭიქას ხელი და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— დღეს, 9 საათზე შევიაროთ „კავკაზში". ლოთიანად უნდა დავლიოთ, ქალების გარეშე.

— წავიდეთ. — ეჭვიც არ შეპარვია „სერის" პეტკას სიტყვებში.

**(გაგრძელება იქნება)**

<u>სპორტი</u>

# ვერცხლი და ბრინჯაო-ოზურგეთელი მძლეოსნობის წარმატება



23 -25 აპრილს ქ. ახალციხეში მძლეოსნობაში, ახალციხის ღია პირველობა გაიმართა.

აღნიშნულ შეჯიბრში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა მძლეოსანთა სექციის სპორტსმენებმა მიიღეს და ღია პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს. აქვე გეტყვით იმას, რომ ღია პირველობა სხვადასხვა ასაკობეივ ჯგუფში : დიდებში, ახალგაზრდებსა და კადეტებში გაიმართა.

**ქეთევან თევზაძე** – II ადგილი ( დიდებში) – 100 მ რბენა **ქეთევან თევზაძე** – III ადგილი ( ახალგაზრდებში) 400 მ რბენაში **ნიკოლოზ თორდია** – II ადგილი ( ახალგაზრდებში) 400 მ რბენა **გიორგი დეკანოიძე** – III ადგილი ( დიდებში) 400 მ რბენა **მერაბ მახარაძე** – II ადგილი ( კადეტები) 400 მ რბენა სპორტსენები ასპარეზობისათვის **მარინა კოტრიკაძემ** მოამზადა.

# განცხადებები


მოვუვლი მოხუცს, სადღეღამისო გრაფიკით დაგვიკავშირდით: 557 48 38 27

ვყიდი მეორადი მოხმარების ვენახის ტალავერს („ბესეტკა“). ასევე ვყიდი ღვინის შუშის ბოთლებს. მსურველები დამიკავშირდით ტელეფონზე 599 09 16 45. ტელ. 599 587 532.


<u>სულთათანა</u>

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი ,,ანასეული“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის **რაინდი ვლადიმერის ძე სალუქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებული ოჯახს.

# სკანვორდი



სომხეთის დედაქალაქი; არსაკიძის ქმნილება; კვაზი მოდოს შეყვარებული; სანახაობა; გრძელი ჯოხი; გამაფხულის ყვავილი; სასჯელი იარაღი; ტოლი; დაწნული ღობე; ქალაქი ინდოეთში; სპორტიანი სასმელი; განთიადი; კედელს ამაოდ რო აყრიან; მშობელი; პატარა საწნახელი; ცირკის მასხარა; სურნელოვანი ჰიგიენური სითხე; ლურჯთვალა ყვავილი; ეკლესიის მსახური; ხაპერისგან დამზადებული ფაფა; მთავარი ძარღვი; ცელქი; კედლის ჭალი; თავდაცვის საშუალება; ცეცხლის ენა; მამაკაცის სახელი; მე-5 ასობგერა; ძღვენი; მე-3 პირის ნაცვალსახელი; ყოფილი ეპანელი მეკარე; სოფლის გზა; კურორტი რაჭაში; გრაფიკი; ფრინველი; სახალხო დღესასწაული; გიგანტური ყინული ოკეანეში

## პასუხები:

პასუხები: სურათზე – ლევან უჩანეიშვილი; სისხლის შემადგენელი ნაწილი – როე; საგზაო ნაკეთობა – ხიდი; უნაკლო – უზადო; ფუტკრის საკვები – კანდი; ... მესი – ლეო ჩრდილი – ლანდი; წერილი – უსტარი; მიწაზე დაწესებული გადასახადი – ხარაჯა; ვენების დაავადება – ვარიკოზი; უსაქმური – უშრომელი; ერთ-ერთი ფაზა – იმაგო; გულისნადები – ხვაშიადი; მოსასხამი – ლაბადა; შემინული აივანი – შუშაბანდი; დიახ – კი; ფრინველი – ოფოფი; კაცის სახელი – ომარი; რუსი კოსმოლოგი – ციოლკოვსკი; დაუმუშავებელი მარგალიტი – ალმასი; ძვირფასი თვალი – ლალი; ჯუჯა ცხენი – ერგე; ლიტერატურული პრემია – საბა; ზიზიფუსი – უნაბი; მე-5 ასობგერა – ე; კავშირი – და; სამონადირეო ძაღლის ჯიში – კურცჰაარი; დიად – კი; პირველი ნოტი – დო; შადრევანი – სარაჯი; გარეული ცხოველი – იაგუარი; დასარტყმელი ინსტრუმენტი – დოლი; ღვინის დღესასწაული (ბერძ.) – ლენეონი.

# იარაღის შემოტანა საქართველოში 1905 წელს

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით




## იარაღის გადმოტვირთვა

გიორგი დეკანოზიშვილის პასუხმა საქმე დააჩქარა, გადაწყდა, თედო სახოკიას 3 სანდალი დაექირავებინა, იარაღის მიღების შემდეგ 2 მათგანი ფოთთან ახლოს, **ნაბადასთან,** უნდა მოსდგომოდა ნაპირს, მესამე კი აფხაზეთის სანაპიროებისაკენ გაემართებოდა. კიდევ 3 სანდალი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბათუმის კომიტეტს უნდა დაექირავებინა. ეს სანდლები იარაღის მიღების შემდეგ **შეკვეთილთან** უნდა მოსდგომოდნენ სანაპიროს, რათა იარაღი გურიაში შეეტანათ. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტს, **იაკობ ფანცხავას** მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ნაბადაში ერთი სანდლიდან გადმოტვირთული იარაღი იქვე, ქვიშაში, უნდა ჩაეფლა და შემდეგლა გაეგზავნა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. მეორე სანდლიდან გადმოტვირთული იარაღი **ანაკლიაში** უნდა გადაეტანათ და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის **ზუგდიდის კომიტეტისათვის** გადაეცათ. ყოველივე ამის ორგანიზება მიხეილ ესაკიას ეკისრებოდა. აფხაზეთისაკენ დაძრულ მესამე სანდალს იარაღი **ბიჭვინთის** ახლოს, **ალექსანდრე ინალიფას** მამულში, უნდა შეეტანა. **სპირიდონ ნორაკიძე** წინასწარ მოელაპარაკა ალექსანდრე ინალიფას, რომელმაც თანხმობა განაცხადა იარაღის დამალვაზე.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტის მიერ შემუშავებული იარაღის გადმოტვირთვის გეგმის უშუალო შემსრულებლები **იოსებ აფსავა, თ.თირქია** და **ექვთიმე შამათავა** იყვნენ. დაქირავებული სანდლების მესაჭეებად უნდა ყოფილიყვნენ: **მელიტონ ბუკია, კოწია ჯგიქა** და **იონა ფარულია.** მესანდლეები მზად იყვნენ, მაგრამ მოლაპარაკებიდან ერთი თვე გავიდა, „სირიუსი''კი არ ჩანდა. მესანდლეები მიხეილ ესაკიასთან მივიდნენ და სამუშაოზე გაშვება სთხოვეს(ისინი ყველანი მეთევზეები იყვნენ). სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ფოთის კომიტეტს შეუთვალა: გემი იგვიანებს, მაგრამ იგი აუცილებლად მოვა, ამიტომ მესანდლეები მუდმივ მზადყოფნაში იყვნენო.

1905 წლის 8 ნოემბერს ბათუმიდან **გიორგი ზდანოვიჩმა** ფოთში მყოფ **მიხეილ ესაკიას** დეპეშით აცნობა: სანდლები დაუყოვნებლივ ზღვაში გავიდნენო. 9 ნოემბერს ზღვაზე ძლიერი ღელვა დაიწყო. მიუხედავად ამისა, მესანდლეებმა სურსათ-სანოვაგე მოიმარაგეს და ზღვაში გავიდნენ. სანდლებს თან გაჰყვნენ **იასონ ჩარავა** და **ექვთიმე შამათავა.** მათ შეუერთდა ქუთაისიდან ფოთში ჩასული **იასონ ბობღიაშვილი.** სანდლები ფოთიდან 9 ნოემბერს, ნაშუადღევს, გავიდნენ. 9 ნოემბრის საღამოს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: **იაკობ ფანცხავა, აპოლონ ჩარავა, მიხეილ(მიხაკო) ჩხენკელი, ივანე თურქია, მიხეილ ესაკია, ანდრო ხოჭოლავა, ლ.მგელაძე** და სხვები. კომიტეტის სხდომას მოხსენდა, რომ იარაღის გადმოტვირთვა მოხდებოდა ფოთიდან 4-5 ვერსის მოშორებით. გადმოტვირთვაში მონაწილეობას მიიღებდნენ: **იასონ აფსავა, პამფი ფაღავა, გრიგოლ ლომაია, ვარლამ ლოლუა, ზოსიმე ხუბუა, ნოე ჟღენტი, დ.განგია, ს.ჩიჩუა, ი.ლოლუა, ა.ბოკერია, ე.ფრუიძე** და სხვები. 9 ნოემბრიდან ფოთის სანაპიროზე განუწყვეტლივ მორიგეობდა რამდენიმე კაცი, მათ შორის, **მიხეილ ესაკია** და **თედო სახოკია.**

1905 წლის 9 ნოემბერს„სირიუსზე'' მყოფმა გიორგი სიხარულიძემ და ვლადიმერ ნაზარაშვილმა ფოთის შუქურა შენიშნეს. კაპიტანმა გემი, წინასწარ მიცემული ინსტრუქციის თანახმად, შემობრუნა ისე, რომ ქიმი დასავლეთისაკენ ჰქონდა და გაჩერდა. ფოთამდე 30 ვერსი იყო დარჩენილი. ასევე წინასწარი შეთანხმებით გემზე წითელი, ლურჯი და თეთრი ფანრები აანთეს. გემი ორი დღე ელოდა სანდლებს. ამინდი ყოველ წუთს უარესდებოდა. გიორგი სიხარულიძემ კაპიტანს ნავი სთხოვა, რათა ნაპირზე გადასულიყო და ვითარება გაერკვია. კაპიტანმა უარი უთხრა: ზღვაზე ცუდი ამინდია, თქვენ რომ რაიმე მოგივიდეთ, მე უნავოდ დავრჩებიო. გათენდა მესამე დღე, სანდლები კი არსად ჩანდნენ. კაპიტანმა გიორგი სიხარულიძე იხმო და განუცხადა: იარაღი ზღვაში უნდა გადავყარო და უკან გავბრუნდეო. გიორგი სიხარულიძის თხოვნის შემდეგ კაპიტანმა ლოდინი განაგრძო. გიორგი სიხარულიძემ კაპიტანს შესთავაზა: თუ სანდლები მეოთხე დღის 10 საათამდე არ გამოჩნდებოდნენ, იარაღს ზღვაში კი ნუ გადაყრიდნენ, არამედ უკან გაბრუნებულიყვნენ და რუმინეთის რომელიმე ნავსადგურში შესულიყვნენ. კაპიტანი ყოყმანობდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ გემს ქვანახშირის მარაგი უთავდებოდა.

1905 წლის 12 ნოემბერს ორი სანდალი „სირიუსს'' მიუახლოვდა, მესამემ გემთან მისვლა ვერ შეძლო. ორივე სანდალში სწრაფად ჩატვირთეს იარაღი, მალე მასამე სანდალიც გამოჩნდა და ისიც დაიტვირთა. მესანდლეებმა კაპიტანს ფოთიდან წაღებული სურსათ-სანოვაგე გადასცეს და უკან გამობრუნდნენ. მოსცილდნენ თუ არა სანდლები გემს, ღელვამ კიდევ უფრო იმატა. აშკარა იყო, რომ სანდლები ნაპირს ვერ მიაღწევდნენ. გიორგი სიხარულიძის თხოვნით, „სირიუსის'' კაპიტანმა სამივე სანდალი ბუქსირზე აიყვანა და ფოთისაკენ გაემართა. ღელვა იმდენად ძლიერი იყო, რომ ორი სანდალი გემს მოსწყვიტა, ბუქსირზე ერთი სანდალიღა დარჩა. ორი სანდლის ხელახლა ბუქსირზე აყვანა კაპიტანმა არ ისურვა. მაშინ გიორგი სიხარულიძემ მას შესთავაზა: მესამე სანდალიც ჩახსენით ბუქსირიდან, მე სანდალში გადავალ, ფოთში მივალ, ორთქლმავალ ნავს დავიქირავებ, უკან დავბრუნდები და გემში დარჩენილ იარაღს წავიღებო. კაპიტანი დასთანხმდა. გიორგი სიხარულიძე სანდლით ფოთისაკენ გამოემართა. იღბლად, ქარი ჩადგა და ღელვამაც იკლო. დაღლილ-დაქანცულ მესანდლეებსა და გიორგი სიხარულიძეს ჩაეძინათ და როცა გაეღვიძათ, შენიშნეს, რომ სანდალი ფოთთან ნაპირს მიახლოებული გაჩერებულიყო. გიორგი სიხარულიძე იასონ ჩარავასთან ერთად პატარა ნავით ფოთისაკენ გაემართა. ძლიერი ღელვის გამო ნავი ფოთს ვერ მიუახლოვდა და საბოლოოდ ქალაქიდან 7 ვერსის მანძილზე აღმოჩნდა. რის ვაივაგლახით გიორგი სიხარულიძემ და იასონ ბობღიაშვილმა ფოთს მიაღწიეს. ფოთში მათ აურზაური და დიდი ჩოჩქოლი შენიშნეს, ისმოდა სროლის ხმაც. მიუხედავად ამისა, დაღლილ-დაქანცულებმა ის მაინც შეძლეს,რომ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტს აცნობეს, საქმე გართულდა, აუცილებელია გემს ორთქლმავალი ნავი მიაშველოთ და იარაღი წამოიღოთო. თვითონ გიორგი სიხარულიძე სასწრაფოდ გაემართა მატარებლით ქუთაისისაკენ.

## „სირიუსიდან'' გადმოტვირთული იარაღის ბედი

ფოთში იარაღის მიღების მთელი სიმძიმე **მიხეილ ესაკიას** დააწვა. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტში შეშფოთებულები იყვნენ, სამი დღე გავიდა და ზღვაში გასული სანდლები ბედი კი არავინ იცოდა! 1905 წლის 12 ნოემბერს, საღამოს, ფოთის კომიტეტში გამოცხადდა ერთ-ერთ სანდალს გაყოლილი **ექვთიმე შამათავა** და კომიტეტს აუწყა: **მელიტონ ბუკიას** იარაღით დატვირთული სანდალი ფოთის ნავსადგურში შემოვიყვანეთ, მაგრამ ღელვის გამო მისი ნაბადას მიმართულებით წაყვანა და იქ იარაღის გადმოტვირთვა შეუძლებელიაო; სანდლის პატრონი მოითხოვს სანდლის ამალამვე დაცლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იარაღის ზღვაში გადაყრით იმუქრებაო; სანდლის პატრონი მეტად მოცდას აღარ აპირებს, რადგან ეშინია, იარაღით დატვირთული სანდალი არ აღმოაჩინონ და სასჯელი არ მივიღოო. ფოთის კომიტეტმა დაადგინა: სანდალი ფოთის ნავსადგურშივე დაუყოვნებლივ დაცალონ და იარაღი ნაბადას ახლოს, ტყეში, დამალონ. ამ სახიფათო დავალების შესრულება **მიხეილ ესაკიას** მიენდო, რომელსაც გაჰყვნენ **პამფი ფაღავა, ექვთიმე შამათავა, ზ.ხუბუა, ლ.მელაძე, ს.ჩიჩუა, ი.მაგინეიშვილი, ი.ლოლუა. ა.ბოკერია, ლ.განგია** და სხვები, სულ — 25 კაცი. იარაღით დატვირთული სანდალი ნავსადგურის შესასვლელში, ჩრდილოეთ მხარეს, იდგა. მახლობლად საწყობის მსგავსი არანაირი შენობა არ ჩანდა. იგი მხოლოდ 400-500 მეტრის მოშორებით იყო. გადაწყდა, სანდალი საწყობთან მიეცურებინათ და ნაბადაში გადატანამდე იარაღი იქ შეენახათ. სანდლის პატრონმა საწყობთან მიახლოება ვერ გაბედა, დაჭერის შეეშინდა. იარაღი იქვე უნდა გადმოტვირთათ და საწყობამდე, 400-500 მეტრი, ზურგით ეტარებინათ. 25 კაცი ამ სამუშაოსთვის არ კმაროდა, დაუკავშირდნენ დაქირავებული მუშების უფროს **ლ.კალანდაძეს** და სთხოვეს 40 მუშა გამოეყო. კალანდაძე დასთანხმდა და გადაწყდა, ღამის 10 საათზე დაეწყოთ იარაღის გადმოტვირთვა და გადატანა. იარაღის გადატანა ისე ვერ განხორციელდებოდა, რომ ნავსადგურის დარაჯებს არ შეეტყოთ. მიხეილ ესაკია მოელაპარაკა ერთ-ერთ ქართველ დარაჯს, **სამადაშვილის**, რომელმაც ურჩია, სანდლიდან იარაღის გადმოტვირთვა და საწყობში გადატანა ღამის 12 საათამდე გადაედოთ, რადგან 10 საათზე რომ



თედო სახოკია



სპირიდონ ნორაკიძე

დაეწყოთ, 12 საათამდე ვერ მორჩებოდნენ, ამ დროს კი დარაჯთა ცვლა ხდებოდა. 12 საათზე, დარაჯების ახალი ცვლა მოვიდა. მიხეილ ესაკიას რაზმმა, როგორც ძველ, ისე ახალ ცვლას იარაღი აჰყარა და გადმოტვირთვის დასრულებამდე ყველანი დააკავა. სამადაშვილი და კიდევ რამდენიმე დარაჯი იარაღის გადმოტვირთვაშიც დაეხმარნენ. მალე ცხადი გახდა, რომ 60 კაცით იარაღის გადატანა გაჭირდებოდა, საქმეს ისიც ართულებდა, რომ მუშებმა იარაღის მიმართ ინტერესი გამოავლინეს და თოფების გასინჯვაზე დიდ დროს ხარჯავდნენ. თოფების გასინჯვისას იარაღი ზოგს გაუვარდა და თოფის გასროლა ფოთშიც გაიგონეს.

1905 წლის 13 ნოემბერს, დილის 4 საათზე, იარაღის გადმოტვირთვა დასრულდა. მისი ნაწილი საწყობში შეიტანეს, ნაწილი ზღვის ნაპირზე ეწყო. მიხეილ ესაკიას ფოთიდან აცნობეს, რომ ჟანდარმები და კაზაკები მათკენ მიემართებოდნენ. სანდალმა მიმალვა მოასწრო. კაზაკები ნავსადგურის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განლაგდნენ და იქიდან გაუხსნეს ცეცხლი მიხეილ ესაკიას რაზმს. სროლა დაახლოებით 1 საათს გაგრძელდა. საბოლოოდ საწყობში შეტანილი და ზღვის ნაპირზე დატოვებული იარაღი და ვაზნები კაზაკებსა და ჟანდარმერიას ჩაუვარდა ხელში.

ფოთის აკვატორიაში მდგარი გემი „სირიუსი'' ჯერ კიდევ ღია ზღვაში იდგა. იარაღის მისაღებად ბათუმიდან სანდალს რომ ელოდნენ, ვერ ჩამოვიდა. გემის კაპიტანმა მეზღვაურები და გემზე მყოფი ქართველები შეკრიბა და განუცხადა: გემზე არსებული ქვანახშირისა და სურსათ-სანოვაგის მარაგი მხოლოდ 4 დღის ლოდინის საშუალებას იძლევა, თუ ამ დროის განმავლობაში იარაღს არ გადატვირთავთ, იძულებული ვიქნები, ზღვაში გადავყაროო. დანიშნული 4 დღიდან 2 უკვე გავიდა, სანამ **იასონ ჩარავა** გემიდან ნაპირს მოაღწევდა. მომდევნო დღეებშიც ძლიერი ღელვა არ ჩამცხრალა. ჟანდარმერია და კაზაკები დღეღამ გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს სანაპირო ზოლსა და ქალაქის ქუჩებს. ამ მიზეზით „სირიუსზე'' დარჩენილი იარაღის გადმოტვირთვა ვერ მოხერხდა. საბოლოოდ, გემიდან 4.500 თოფი და მისი სამყოფი ვაზნები გადმოიტვირთა.

ჟანდარმერიამ დაადგინა, რომ იარაღი ფოთში გემით შემოიტანეს და სანაპირო დაცვაც მოტორიანი ნავით „სირიუსის'' დასაკავებლად გაემართა. კაპიტნის ბრძანებით, გემზე დარჩენილი იარაღი ზღვაში გადაყარეს, „სირიუსი'' სანაპირო დაცვის ნავს დაუსხლტა და რუმინეთისაკენ გაემართა, სადაც ჩააბარა კიდეც ჰოლანდიიდან იარაღთან ერთად წამოღებული ყავა. „სირიუსი'' მშვიდობიანად დაბრუნდა ნიდერლანდებში და ცოტა ხნის შემდეგ 30.000 ფრანკად გაიყიდა.

ჰოლანდიიდან საქართველოში გემ „სირიუსით'' იარაღის შემოტანის ამბავი გახმაურდა და პრესის ფურცლებზეც მოხვდა. გაზეთი „ცნობის ფურცელი'' 1905 წლის 17 ნოემბერს იუწყებოდა: „ფოთიდან გვატყობინებენ: 13 ნოემბერს, დილის მეოთხე საათზე, ფოთის ნავსადგურის ახლოს, სროლა ასტყდა. როგორც აღმოჩნდა, ვიღაცეებს ნავით თოფები და პატრონები მოეტანათ. როდესაც რამდენიმე ყუთი გადმოუტანიათ ნაპირზე, ბევრი თოფი და რამდენიმე ყუთი პატრონა მთავრობას ჩაუგდია ხელში. როგორც ამბობენ, ორი ნავი, თოფ-იარაღით სავსე, ზღვაშია კიდევ. სროლის დროს ორი კაცი დაუჭრიათ, ხალხს ერთი ყაზახი დაუჭრია. დატუსაღებულია ათი კაცი. ხვალ, 16 ნოემბერს, მოელიან ქუთაისის გუბერნატორს სტაროსელსკის.'' გაზეთის იმავე ნომერში დაბეჭდილია „ოფიციალური დეპეშა ფოთიდან'', რომელშიც ვკითხულობთ: „რკინიგზის ჟანდარმერიის უფროსმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ამ დღეებში საზღვარგარეთიდან მოვიდა გემი **SIRIUS.** ნავსადგურიდან მიეგება სამი ფელუკა და იარაღის გადმოცლა დაიწყო. ერთი ფელუკა, იარაღით სავსე, სოხუმს მიადგა, მეორე — ფოთს, მესამე —გურიის ნაპირებს. აქ შეიარაღებული კაცები დარაჯობენ. ფოთში იარაღის გადმოცლის დროს პოლიციამ გაიგო ეს ამბავი, მეორე დღით გამოიწვია ჯარი და სროლა აუტეხა. მოკლული და დაჭრილია ოცი კაცი. გაიტაცეს 1000 თოფი.'' იარაღის შემოტანის ამბავი 1905 წლის 18 ნოემბერს დაბეჭდა თბილისში რუსულ ენაზე გამომავალმა გაზეთმა „ვოზროჟდენიემ''.

**ალექსანდრე ინალიფას** მამულში, ბიჭვინთის ახლოს, ერთი სანდლით მიტანილი იარაღი, სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, აჯანყებულმა გლეხებმა დაირიგეს.1905 წლის 25 დეკემბერს სოციალისტ-ფედერალისტებმა მხოლოდ იარაღის ნაწილის — 600 თოფისა და ვაზნების —დაბრუნება შეძლეს.

**მელიტონ ბუკიას** სანდალმა იარაღი და ვაზნები **ანაკლიის** ახლოს გადმოტვირთა. იარაღის მისაღებად მზად იყო 30 ცხენოსნისაგან შემდგარი რაზმი **მუშნი დადიანის** მეთაურობით. სანდლიდან გადმოტვირთული იარაღი ურმებით **ზუგდიდისაკენ** წაიღეს. სოციალ-დემოკრატებმა შეიტყვეს თუ არა ანაკლიაში იარაღის შემოტანის ამბავი, გლეხებს ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს, შემოტანილი იარაღი თავადაზნაურებისაა და მას გლეხების წინააღმდეგ გამოიყენებენო. აღშფოთებული ხალხი (300 თუ 500 კაცი) იარაღის წართმევას შეეცადა, გამცილებლებმა ჰაერში გაისროლეს. ამით გათამამებული გლეხები კვლავ შეეცადნენ იარაღის წართმევას. მაშინ გამცილებლები გლეხებს დაემუქრნენ: იძულებულს თუ გაგვხდით, გესვრითო. გლეხები თავისას მაინც არ იშლიდნენ და ალბათ საქმე მსხვერპლით დამთავრდებოდა, **სპირიდონ კედია** რომ არ ჩარეულიყო. მისი დახმარებით იარაღი, როგორც იქნა, ზუგდიდში ჩაიტანეს.

**(გაგრძელება იქნება)**

ვახტანგ გურული, საქართველოს ახალი ისტორია. ტ.3 გვ.359-362



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ!
ქრისტე აღდგა!
აღდგომის მადლი და ძალა გფარავდეთ, რწმენის სიძლიერესა და სულიერ სიმტკიცეს გისურვებთ!

**გიორგი ღურჯუმელიძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



გილოცავთ ყველას მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! უფლის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეს თითოეული თქვენგანის ოჯახს და სრულიად საქართველოს! ქრისტე აღსდგა!

**მარინა ჯაფარიძე,**
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი



გილოცავთ, ყველა მართლმადიდებელ ქრიატიანს აღდგომის ბრწყინვლე დღესასწაულს, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებისა და სულიერი ამაღლების დღეს!..- ყოველი დღე სიხარულისა და იმედის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის!..

**მაკა ჭყონია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების უფროსი



დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს მაცხოვრის სასწაულებრივ აღდგომას, რომელიც სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას ნიშნავს. დაე, ამ დღის ბრწყინვალება იყოს ქვეყნის მთლიანობის, ფუძის სიმტკიცის, შვილთა სიმრავლის, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის მხარში დგომის დასაბამი.

**ლელა შარაშენიძე,**
ოზურგეთის სამუსიკო სკოლის დირექტორი.



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გვწყალობდეს უფალი. მალე შევხვდებით ოზურგეთის განახლებულ თეატრში.

**ვასილ ჩიგოგიძე,**
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი



მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ! არ მოგაკლებოდეთ უფლის მადლი და წყალობა.

**ლავრენტი ბიგვავა,**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე



გილოცავთ უდიდეს დღესასწაულს - ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას. ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად აღდგა.

**გელა აროშიძე,**
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე



გილოცავთ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს აღდგომის ბრწყინვლე დღესასწაულს, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებისა და სულიერი ამაღლების დღეს!.

**გოჩა კილაძე,**
საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკრებულოს თავმჯდომარე















## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 29 აპრილი ხუთშაბათი | 30 აპრილი პარასკევი | 1 მაისი შაბათი | 2 მაისი კვირა | 3 მაისი ორშაბათი | 4 მაისი სამშაბათი | 5 მაისი ოთხშაბათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე ღრუბელი- +12+24 | მზე ღრუბელი- +11+20 | მზე, ღრუბელი- +10+19 | მზე, ღრუბელი- +12+20 | მზე, ღრუბელი- +14+24 | მზე, ღრუბელი- +11+25 | წვიმა +13+18 |